



სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

სატენდერო დოკუმენტაცია

სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა
ბამარტივიშული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

თბილისი

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.
2. ელექტრონულ შესყიდვებში მონაწილეობის ინსტრუქტაჟი დეტალურად ასახულია „სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა სახელმძღვანელო“-ში, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/Manuals/SPA_UM_for-CD.pdf.aspx
3. ელექტრონულ ტენდერთან/გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დედანის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე.
4. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმან(ებ)ი.
5. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
6. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.
7. **დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიიღოთ შემდეგი პირისგან:
ანი მამუჩიშვილი 577-217799.**

ტექნიკური დავალება

ტექნიკური დავალების პირობები გათვალისწინებული იქნება შემდგომში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში.

შესყიდვის ობიექტი:

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბალანსზე რიცხული 25 ერთეული სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა (CPV- 66514110 ავტოტრანსპორტის დაზღვევა). დასაზღვევი სატრანსპორტო საშუალებების ნუსხა კონკრეტული მარკის, მოდელების, წლოვანებისა და ღირებულებების მიხედვით მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართ №1-ში.

სადაზღვევო რისკები და პირობები:

1.1 პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული სადაზღვევო მომსახურება უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. ავტოსაგზაო შემთხვევა;
2. ხანძარი, აფეთქება, თვითაღლევა, მეხის დაცემა;
3. სტიქიური უბედურება (სეტყვის, წყალდიდობის ჩათვლით);
4. მინების, სარკეების და აქსესუარების თუ სხვა დეტალების დაზიანება ან/და ქურდობა;
5. ავტოტრანსპორტის გატაცება, ქურდობა, ყაჩაღობა;
6. სხვადასხვა საგნის დაცემა;
7. ბოროტგანზრახული ქმედება, ვანდალიზმი;
8. დამატებითი აღჭურვილობის (ქარხნული წესით დამონტაჟებული) ქურდობა, გატაცება,

ყაჩაღობა;

9. ავტოტრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები;

10. მზღვეველის მიერ მესამე პირთა წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ლიმიტი ერთ ავტომობილზე 10 000 ლარი,

11. ფრანშიზა 0%.

12. ავტოტრანსპორტის ყველა მგზავრის, მძღოლის ჩათვლით ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაზღვეული ავტოტრანსპორტით მგზავრობისას, ლიმიტი თითოეულ პიროვნებაზე 5000 ლარი, ფრანშიზა 0%. ჯამური ლიმიტი განისაზღვრება ავტომობილში მჯდომი პირების რაოდენობის მიხედვით.

13. დაზღვევის ტერიტორია: საქართველო

14. ფრანშიზა როგორც ნაწილობრივი ასევე სრული ზიანის შემთხვევაში 0%.

15. სრული ზარალი შეადგენს ავტომანქანის საბალანსო ღირებულების 70%.

16. სრული ზარალის შემთხვევაში მზღვეველი ახდენს მსგავსი ავტომანქანით (შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებით) ჩანაცვლებას.

17. პროვაიდერი სარემონტო საწარმოების არჩევა ურთიერთშეთანხმებით.

18. ზარალის ანაზრაულება უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტების წარდგენიდან არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში მაქსიმუმ 31 კალენდარულ დღეში.

19. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პაკეტში გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები უნდა იყოს ლოგიკური და დასაბუთებული და არ უნდა იყოს შეფასებითი.

20. დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების (პარკის) შეცვლის შემთხვევაში დამზღვევის მომართვის საფუძველზე გაუქმდება შესაბამისი პოლისით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების მიმართ დაზღვევის პირობები და არსებული პოლისებითა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული დაზღვევა გავრცელდება შეცვლილ ან/და ახალ სატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამისად დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე, გაუქმებული პოლისებით განსაზღვრული „გამომუშავებული პრემია“ ჩაითვლება შეცვლილი/ახალი სატრანსპორტო საშუალების პრემიაში, თუ მის საბალანსო ღირებულებასა და ადრე დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არსებობს. სხვაობის არსებობის შემთხვევაში მხარეები განახორციელებენ დამატებით ანგარიშსწორებას დაზღვეული ობიექტის საბალანსო ღირებულების ცვლილების პროპორციულად. აღნიშნული პროცედურა ტექნიკური თვალსაზრისით განხორციელდება თავდაპირველად გაცემული პოლისის დანართებში ცვლილებების შეტანით, რომლის შესახებაც გაფორმდება შესაბამისი წერილობითი შეთანხმება.

დაზღვევის მოქმედების ვადა:

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან – 2017 წლის 31 დეკემბრის 24:00 საათამდე.

დაზინანების წყარო:

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სატენდერო წინადადების ფასი:

- გასაწევი მომსახურების ფასი უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის ყველა ხარჯს დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
- გასაწევი მომსახურების ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

ანგარიშსწორების პირობები:

- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
- ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, კვარტალში ერთხელ, გამომუშავებული პრემიის მიხედვით, შედგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღლო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
- წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

ახცილებელი პირობა:

- პროექტდენტის მიერ სადაზღვევო პრემიის ოდენობა თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე მითითებული უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართ №1-ში (დანართი №1 ატვირთულ უნდა იქნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში).
- პროექტდენტს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (2014-2016წწ), მსგავსი მომსახურების მოწოდების სფეროში, აღნიშნულის თაობაზე პროექტდენტმა სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დადასტურებული შესაბამისი ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი ან/და სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემები, კერძოდ: SPA და CMR ნომრები.
- პროექტდენტის მიერ, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №2-ს შესაბამისად ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ უნდა იქნას ინფორმაცია ორგანიზაციის რეკვიზიტების შესახებ.
- იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პროექტდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე პროექტდენტი ვალდებული იქნება დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ექსპერტიზის დასკვნით ან/და აუდიტის დასკვნით ან/და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პროექტდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და ინვოისით, რომელიც ადასტურებს პროექტდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ საბოლოო ფასად ტენდერით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრულად მოწოდების შესაძლებლობას.
- ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.
- პროექტდენტის მიერ წამოდგენილი (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული) ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს ხელმძღვანელის ან/და უფლებამოსილი პირის მიერ (უფლებამოსილი პირის შემთხვევაში წამოდგენილ უნდა იქნას (ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში) ნოტარიულად დამტკიცებული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი).
- შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პროექტდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

შენიშვნა:

ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისას პროექტდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართების ფორმები და არსებობის შემთხვევაში მათში მითითებული აუცილებელი პირობები.

დანართი №1 გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

N	ავტომანქანის მარკა და მოდელი	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ლარი)	წლიური სადაზღვეო პრემია (ლარი)
1	CEVROLET LACETI 1,6	2008	LAW-201	6,120.00	
2	CEVROLET LACETI 1,6	2008	LAW-204	5,008.00	
3	CHEVROLET AVEO 1,2	2009	LAW-211	5,008.00	
4	CHEVROLET NIVA 1.7	2006	OO-157-GG	4,800.00	
5	HYUNDAI ACCENT 1,4	2013	LAW-202	12,944.00	
6	HYUNDAI ACCENT 1,4	2013	LAW-217	12,944.00	
7	HYUNDAI TUCSON 2,0	2009	LAW-300	7,720.00	
8	HYUNDAI TUCSON 2,0	2009	LAW-400	7,720.00	
9	KIA CERATO 1,6	2012	LAW-301	11,344.00	
10	KIA CERATO 1,6	2012	LAW-302	11,344.00	
11	KIA CERATO 1,6	2012	LAW-303	11,344.00	
12	KIA RIO 1.2	2016	LA-208-WS	20,473.00	
13	KIA RIO 1.2	2016	LA-212-WS		

				20,473.00	
14	KIA RIO 1.2	2016	LA-214-WS	20,473.00	
15	RENAULT LOGAN 1,6	2015	LA-203-WS	16,032.00	
16	RENAULT LOGAN 1,6	2016	LA-205-WS	22,807.00	
17	RENAULT LOGAN 1,6	2016	LA-206-WS	24,486.00	
18	RENAULT LOGAN 1,6	2016	LA-207-WS	24,486.00	
19	RENAULT LOGAN 1,6	2016	LA-209-WS	24,486.00	
20	RENAULT LOGAN 1,6	2016	LA-210-WS	22,807.00	
21	RENAULT LOGAN 1,6	2016	LA-213-WS	24,486.00	
22	RENAULT LOGAN 1,6	2015	LA-215-WS	17,640.00	
23	RENAULT LOGAN 1,6	2015	LA-216-WS	17,640.00	
24	RENAULT LOGAN 1,6	2016	LA-218-WS	22,807.00	
25	SATURN ASTRA 1,8	2007	LA-200-WS	3,824.00	
				ჯამი:	

პრეზიდენტის ხელმოწერა

ბ.ბ

/

ხელმძღვანელის სახელი, გვარი

დანართი №2
რეკვიზიტები

პრეტენდენტის დასახელება	
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ოფისის ტელეფონი	
მობილური ტელეფონი	
E-mail	
ხელმოკვანელის სახელი გვარი	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი	
ანბარიშის ნომერი	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____
ბ.ა

/ /
ხელმოწერის სახელი, გვარი

სახელმწიფო შემსყიდველის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება შეიძლება პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ——— წლის „ „ ქ.თბილისში
შემსყიდველი - სსიპ იურიდიული დამხარების სამსახური ----- სახით,
მისამართი:

საბანკო რეკვიზიტები:

მიმწოდებელი -	
მისამართი, ტელეფონი -	
დირექტორი -	
საბანკო რეკვიზიტები	

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგ ზე: შემსყიდველმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი შესყიდვაზე:

(მომსახურების მოკლე აღწერა)

რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის მიხედვით მან უნდა გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე:

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

(შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”)

წინამდებარე ხელშეკრულება აღასტუმრებს შემდეგს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1);
- გ) ტექნიკური დავალება;
- დ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

შემსყიდველის მხრიდან:

მიმწოდებლის მხრიდან:

საეციფიკური პირობები

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ – მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საბანი

(მომსახურების მოკლე აღწერა)

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმების დღიდან – 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება.

1.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ტექნიკურ დავალებაში მოყვანილი პირობების შესაბამისად.

1.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალებში და ფორმით.

1.4. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, ასევე შესყიდვის ობიექტის ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს მომსახურების გაწევის ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

2.1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების დღიდან – 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს დანართ №1-ში მოყვანილი სატრანსპორტი საშუალებების დაზღვევის მომსახურება ტექნიკურ დავალებაში მოყვანილი პირობებისა და დანართი №1-ში დაფიქსირებული ტარიფების შესაბამისად.

2.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

2.1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური.

2.1.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

2.1.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

3. ხელშეკრულების ფასი

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

- 3.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 3.4. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

4. ხარისხი

- 4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება შესრულებული იქნება სათანადო ხარისხითა სტანდარტების დაცვით - სრული მოცულობით, განუხრელად და ჯერონად იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
- 4.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების უსაფრთხოდ გაწევა, იგი პასუხისმგებელია უსაფრთხოების ნორმების დაუცველობით გამოწვეულ შედეგებზე.
- 4.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე ან/და მესამე პირზე მიყენებული ზიანის რისკი მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს.

5. ანგარიშსწორება

- 5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
- 5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, კვარტალში ერთხელ, გამომუშავებული პრემიის მიხედვით, შედგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 5.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
- 5.4. 5.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 14. პუნქტში მითითებული პირი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 6.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების ბადაცემა

- 7.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 მხარეებს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ერთმანეთის წინაშე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველის მხრიდან 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 % ოდენობით.

9.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში თუ 10.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. სხვა პირობები

10.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართლო.

10.3. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.

10.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10.7. ეს ხელშეკრულება დადებულია სატენდერო დოკუმენტაციით, განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებითა და გამარჯვებული პრეტენდენტის (ამ ხელშეკრულებით – მიმწოდებლის) ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:

მიმწოდებლის მხრიდან:
